

შპს „მგ კომპანია“-ს

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

შპს „მგ კომპანია“-ს

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება 2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

ფინანსური მდგომარეობა				
	31/12/2020	31/12/2019	31/12/2018	შენიშვნა
ფინანსური მდგომარეობა				
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	56316	3830	12444	4.1
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	475180	412350	451134	4.2
სხვა პირებზე ავანსებად და სესხებად გაცემული ფულადი სახსრები	1825158	1437618	823371	4.3
მარაგები	38579	38576	74382	4.4
მზა პროდუქცია	0	0	0	
სხვა	38579	38576	74382	
საინვესტიციო ქონება	0	0	0	
სხვა მოკლევადიანი აქტივები	4455	5871	285309	
ბიოლოგიური აქტივები	0	0	3666	
თვითღირებულების მოდელით	0	0	3666	
გადაფასების მოდელით	0	0	0	
გუდვილი	0	0	0	
სხვა არამატერიალური აქტივები	64339	69388	29053	4.5
ძირითადი საშუალებები	6688491	7093927	7091420	4.6
ინვესტიციები სხვა საწარმოთა წილობრივ ინსტრუმენტებში	716908	716908	716908	4.7
სხვა გრძელვადიანი აქტივები	0	0	0	
სულ აქტივები	9869426	9778468	9487687	
ვალდებულებები				
საიჯარო ვალდებულება	0	0	26108	
სავაჭრო ვალდებულებები	18595	61140	73770	
ანარიცხები	0	0	0	
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ	122201	108838	79996	4.8
საგადასახადო ვალდებულებები	96676	50082	41937	4.8
გამოუმუშავებელი შემოსავალი	4600	0	0	
მოკლევადიანი ნასესხები სახსრები	122874	164925	3645641	4.9
გრძელვადიანი ნასესხები სახსრები	41819526	36018482	28819660	4.10
მიღებული გრანტები	0	0	0	
სხვა ვალდებულებები	0	110511	119575	
სულ ვალდებულებები	42184472	36513978	32806687	
საკუთარი კაპიტალი				
სააქციო კაპიტალი (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალი', კოოპერატივის შემთხვევაში 'საპაიო კაპიტალი')	33126	33126	33126	4.11
საემისიო შემოსავალი	0	0	0	
გამოსყიდული საკუთარი აქციები	0	0	0	
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)	-33706827	-28127291	-24635316	
გადაფასების რეზერვი	1358655	1358655	1283190	4.11
საკუთარი კაპიტალის სხვა კომპონენტები	0	0	0	
სულ მშობელი საწარმოს მფლობელთათვის განკუთვნილი საკუთარი კაპიტალი	-32315046	-26735510	-23319000	
არამაკონტროლებელი წილი (კონტროლის არმქონე ინვესტორთა ჯამური წილი)	0	0	0	
სულ საკუთარი კაპიტალი	-32315046	-26735510	-23319000	
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	9869426	9778468	9487687	
სულ მოკლევადიანი აქტივები	574530	460627	823269	
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები	360346	384985	3867452	
ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია გამოსაქვეყნებლად 09.12.2021 წ.				
დირექტორი _____	ზურაბ ერქვანია			
თანხლები განმარტებითი შენიშვნები არის წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილი.				

შპს „მგ კომპანია“-ს

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება 2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

საქმიანობის შედეგები				
საქმიანობის შედეგები	31/12/2020	31/12/2019	შენიშვნა	
ნეტო ამონაგები	1445474	2787655	4.12	
საქონლის გაყიდვიდან	0	0		
მომსახურების გაწევიდან	1289113	2191700		
სამშენებლო ხელშეკრულებებიდან	0	0		
სხვა	156361	595955		
გაყიდვების თვითღირებულება	0	0		
საწყისი მარაგები	0	0		
მარაგების შესყიდვა	0	0		
გადამუშავების დანახარჯები	0	0		
საბოლოო მარაგები	0	0		
საერთო მოგება	1445474	2787655		
სხვა საოპერაციო შემოსავალი	55370	191125	4.13	
დასაქმებულთა ანაზღაურება	-519413	-747377		
ცვეთა / ამორტიზაციის ხარჯი	-449386	-436560		
საპროცენტო შემოსავალი	168649	99090		
საპროცენტო ხარჯი	-3019372	-2090175		
იჯარის ხარჯი	0	-10399		
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	-2705454	-2902865	4.14	
სულ საოპერაციო ხარჯები	-6469606	-5897161		
საოპერაციო მოგება	-5024132	-3109506		
გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა:				
ფინანსური აქტივების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა	0	0		
მარაგების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა	0	0		
სხვა არაფინანსური აქტივების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა	0	0		
წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) უცხოური ვალუტით ვაჭრობიდან და				
სავალუტო სახსრების გადაფასებიდან	-638192	-307004		
მიღებული დივიდენდები	0	0		
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი / (ხარჯი)	82788	0	4.15	
მოგება / (ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე განგრძობითი				
ოპერაციებიდან	-5579536	-3416510		
მოგების გადასახადის ხარჯი	0	0		
საანგარიშგებო პერიოდის მოგება / ზარალი	-5579536	-3416510		
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი):				
ძირითადი საშუალებების (მათ შორის, ბიოლოგიური აქტივების) გადაფასების რეზერვი	0	0		
სხვა (მათ შორის წილი ერთობლივი და მეკავშირე საწარმოების უძრავი ქონების გადაფასების რეზერვი და დადგენილ გადასახდელიანი პროგრამები)	0	0		
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი), სულ:	0	0		
მთლიანი სრული შემოსავალი / (ზარალი)	-5579536	-3416510		
მოგება / (ზარალი) განკუთვნილი:				
მშობელი საწარმოს მესაკუთრეებზე მისაკუთვნილებელი მოგება (ზარალი)	-5579536	-3416510		
არამაკონტროლებელ წილებზე მისაკუთვნილებელი მოგება (ზარალი)	0	0		
მოგება / (ზარალი)	-5579536	-3416510		
მთლიანი სრული შემოსავალი / (ზარალი) განკუთვნილი:				
მშობელი საწარმოს მესაკუთრეებზე მისაკუთვნილებელი მთლიანი შემოსავალი	-5579536	-3416510		
არამაკონტროლებელ წილებზე მისაკუთვნილებელი მთლიანი შემოსავალი	0	0		
მთლიანი სრული შემოსავალი / (ზარალი)	-5579536	-3416510		
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში	-26735510	-23319000		
ახალი აქციების გამოშვება (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალის გაზრდა', კოოპერატივის შემთხვევაში 'საპაიო კაპიტალის გაზრდა')	0	0		
განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი)	0	0		
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში	0	0		
კაპიტალის სხვა ცვლილებები	0	0		
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	-32315046	-26735510		
ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია გამოსაქვეყნებლად 09.12.2021 წ.				
დირექტორი _____ ზურაბ ერქვანია				
თანხლები განმარტებითი შენიშვნები არის წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილი.				

შპს „მგ კომპანია“-ს

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება 2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

ფულადი სახსრების მოძრაობა			
	31/12/2020	31/12/2019	
ფულადი სახსრების მოძრაობა			
საოპერაციო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საოპერაციო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები	205005	202785	
საინვესტიციო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები	-94466	-267149	
საფინანსო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საფინანსო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები	-58341	54525	
ფულადი სახსრების შემოსვლა (გასვლა)	52198	-9839	
ვალუტის კურსის ცვლილების გავლენა ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე	288	1225	
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში	3830	12444	
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	56316	3830	
ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია გამოსაქვეყნებლად 09.12.2021 წ.			
დირექტორი _____	ზურაბ ერქვანია		
<i>თანხლები განმარტებითი შენიშვნები არის წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილი.</i>			

2020 წლის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ნაწილი

1.1. შპს „მგ კომპანია“ (შემდგომში – *კომპანია*) წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას, რომელიც მოქმედებს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანია დარეგისტრირებულია 1996 წლის 10 იანვარს ქ.თბილისის ვაკის რაიონის სასამართლოს მიერ, რეგისტრაციის ნომერია 5\4-317. მისი საიდენტიფიკაციო კოდია - 204854327, იურიდიული მისამართი - საქართველო, თბილისი, ვაკე-საბურთალოს რაიონი, ჭავჭავაძის გამზირი №49ა. კომპანია დარეგისტრირებულია დღგ-ის გადამხდელად 2007 წლის 16 ოქტომბრიდან.

1.2. კომპანიის 100%-იანი წილის მფლობელია ფ/პ თეიმურაზ ორთოიძე (პ/ნ 01011004858).

1.3. კომპანიის დირექტორია ფ/პ ზურაბ ერქვანია (პ/ნ 01024003239).

1.4. კომპანიის ძირითადი ეკონომიკური საქმიანობაა უძრავი ქონების იჯარით გაცემა.

კომპანიის დამატებით (არაძირითად) ეკონომიკურ საქმიანობას წარმოადგენს სესხის გაცემა, ასევე, სხვა საქმიანობა, რომელიც არ არის აკრძალული საქართველოს კანონმდებლობით.

1.5. კომპანია, 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, წარმოადგენდა საქართველოში დაფუძნებული შემდეგი საწარმოს მშობელ კომპანიას (რომლებიც ერთობლივად იწოდებიან, როგორც „ჯგუფი“) –

შვილობილი საწარმო - შპს „წყალტუბო პლაზა“ წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას, რომელიც მოქმედებს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. შპს „წყალტუბო პლაზა“ დარეგისტრირებულია 2013 წლის 10 ოქტომბერს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად. მისი საიდენტიფიკაციო კოდია - 421269512, იურიდიული მისამართი - საქართველო, წყალტუბო, რუსთაველის ქ. N 15ა. ფაქტობრივი მისამართი ემთხვევა

შპს „მე კომპანია“-ს

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება 2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

იურიდიულ მისამართს. შპს „წყალტუბო პლაზა“ დარეგისტრებულია დღგ-ის გადამხდელად.

კომპანიამ 100%-იანი წილობრივი მონაწილეობით თვითონ დააფუძნა შვილობილი საწარმო. შვილობილი საწარმოს დირექტორია - ფ/პ გიორგი ორთოიძე (პ/ნ 01017019069).

შვილობილი საწარმოს ძირითად საქმიანობას წარმოადგენს - სასტუმრო მომსახურება.

შევნიშნავთ, რომ ანგარიშგების მომზადების თარიღისათვის კომპანია აღარ ფლობს შპს „წყალტუბო პლაზას“ წილს. კომპანიამ 2021 წლის 28 ოქტომბერს მოახდინა შპს „წყალტუბო პლაზას“ 100% წილის რეალიზაცია.

1.6. ჯგუფის დაქირავებულ თანამშრომელთა საშუალო რაოდენობა 2020 წელს შეადგენდა 59 ადამიანს.

1.7. წესდების მიხედვით, საანგარიშგებო წელი გრძელდება 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით.

2. საქართველოს ბიზნეს-გარემო

2.1. ჯგუფი საქმიანობას ეწევა საქართველოში და მასზე ზემოქმედებს საქართველოში მოქმედი ეკონომიკური ფაქტორები და ფინანსური ბაზრები. საქართველოში მოქმედი საკანონმდებლო, საგადასახადო და მარეგულირებელი სტრუქტურები განაგრძობენ განვითარებას. განვითარებადი ქვეყნისთვის დამახასიათებელია ხშირი საკანონმდებლო ცვლილებები, რაც ხშირად წარმოშობს საკითხებს, რომლებიც განსხვავებულად ინტერპრეტირდება სახელმწიფო ორგანოებისა და საქართველოში მოქმედი კომერციული კომპანიების მხრიდან.

3. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი და გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკა

3.1. 2018 წლის 1 იანვრიდან დაწყებული, ჯგუფის ბუღალტრული აღრიცხვა და ფინანსური ანგარიშგება წარმოებს მსს ფასს-ის (ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო

სტანდარტი მცირე და საშუალო საწარმოებისათვის) მიხედვით. ამასთან, ჯგუფი წარმოადგენს მესამე კატეგორიის ჯგუფს „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს 2016 წლის 8 ივნისის კანონის თანახმად. აღნიშნული კანონიდან გამომდინარე, ჯგუფს არ ევალება წლიური კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტი.

3.2. კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის დაშვებით - ანუ დაშვებით, რომ ჯგუფი განაგრძობს ფუნქციონირებას პროგნოზირებად მომავალში. ჯგუფის მენეჯმენტსა და მფლობელებს სურვილი აქვთ, განავითარონ ჯგუფის საქმიანობა საქართველოში. მენეჯმენტს სჯერა, რომ ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვება შესაბამისია ჯგუფისთვის.

წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია საქმიანობის უწყვეტობის და პირვანდელი (ისტორიული) ღირებულების პრინციპის გათვალისწინებით. აღრიცხვა-ანგარიშგების ფუნდამენტური სააღრიცხვო პრინციპი - დარიცხვის მეთოდი დაცულია. სააღრიცხვო შეფასებები და ძირითადი დაშვებები ყოველწლიურად გადაიხედება. სააღრიცხვო შეფასების ცვლილების აღიარება ხდება იმ პერიოდში, როდესაც ხდება შეფასებების გადახედვა და ასევე შესაბამის მომავალ პერიოდებში.

მენეჯმენტის მოსაზრებით, ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას არ არსებობს კრიტიკული გადაწყვეტილებები, რომელსაც შეუძლია გავლენა იქონიოს კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მუხლებში აღიარებულ თანხებზე და არ არსებობს ვარაუდები და შესაძლო გაურკვევლობები, რომელიც შეიძლება შეიცავდეს არსებითი კორექტირებების მნიშვნელოვან რისკებს მომავალი ფინანსური წლის შედეგებზე.

3.3. გათვალისწინებულია მსს ფასს-ის ძირითადი დაშვება - ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპი, რაც გულისხმობს, რომ ჯგუფის მენეჯმენტი არ გეგმავს და არ მოელის, რომ უახლოესი ერთი წლის განმავლობაში ჯგუფი შეწყვეტს ფუნქციონირებას, ან მოხდება მისი საქმიანობის მასშტაბის არსებითი შეზღუდვა. შესაბამისად, ჯგუფის 2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადდა ამ დაშვების გათვალისწინებით, რაც გულისხმობს, რომ აქტივების რეალიზაცია/გასვლა და ვალდებულებების დაფარვა ხორციელდება ბიზნესის ჩვეულებრივი მსვლელობისას.

3.4. 2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, გამოყენებულია ამ თარიღის მდგომარეობით მოქმედი მსს ფასს.

3.5. ჯგუფის საანგარიშგებო პერიოდი ემთხვევა კალენდარულ წელს (1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე).

3.6. ჯგუფის მიერ გამოყენებულია შემდეგი სააღრიცხვო პოლიტიკა:

კონსოლიდაციის საფუძველი

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მოიცავს ჯგუფისა და მისი შვილობილი კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებას 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

შვილობილი კომპანია

შვილობილი კომპანია არის ის საწარმო, რომელიც კონტროლდება ჯგუფის მიერ. კონტროლი ხორციელდება, როდესაც ჯგუფს აქვს უფლებამოსილება, პირდაპირ ან ირიბად მართოს ორგანიზაციის ფინანსური და საოპერაციო პოლიტიკა ისე, რომ მიიღოს სარგებელი მისი საქმიანობიდან. შვილობილი საწარმოს კონსოლიდაცია იწყება მაშინ, როდესაც ჯგუფი მოიპოვებს კონტროლს შვილობილ საწარმოზე და წყდება მაშინ, როდესაც ჯგუფი კარგავს მასზე კონტროლს. შვილობილი საწარმოს წლის განმავლობაში შეძენილი ან გასხვისებული აქტივები, ვალდებულებები, შემოსავალი და ხარჯები აისახება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში შვილობილ საწარმოზე ჯგუფის მიერ კონტროლის შეძენის თარიღიდან კონტროლის დაკარგვის თარიღამდე. წილი შვილობილ კომპანიებში, რომელსაც არ ფლობს ჯგუფი წარმოადგენს უმცირესობის წილს. უმცირესობის წილი წარმოდგენილია კაპიტალში.

კონსოლიდაციასთან დაკავშირებული ელიმინირებული ოპერაციები

შიდა ჯგუფური ბალანსები და ოპერაციები, და ნებისმიერი არარეალური მოგება, რომელიც წარმოიქმნება შიდაჯგუფური ტრანზაქციებიდან ელიმინირდება კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას.

შემოსავლების აღიარება

შემოსავლების აღიარება ხდება საქონლის და მომსახურების გაყიდვიდან ჩვეულებრივი საქმიანობის პროცესში მისაღები ან მიღებული თანხის სამართლიანი ღირებულებით, დარიცხვის მეთოდის შესაბამისად.

რეალიზებული საქონლის უკან დაბრუნება და ფასდათმობა აღიარებულია შემოსავლის შემცირების გზით, გაყიდვების აღიარებასთან ერთად.

საექვო მოთხოვნების აღიარება

ჯგუფის საექვო მოთხოვნების სიდიდე განისაზღვრება ინდივიდუალურად თითოეული დებიტორული დავალიანების შესწავლის გზით. თუ დებიტორული დავალიანების წარმოშობიდან გასულია 3 წელი ან მეტი, ეს წარმოადგენს წინაპირობას მისი 100%-იანი გაუფასურებისათვის, თუმცა ყოველ ცალკეულ შემთხვევაში ხდება დამატებითი განსჯა, საჭიროა თუ არა მოთხოვნის გაუფასურების ანარიცხის აღიარება (მათ შორის, 3 წლამდე ნაკლებ ვადაში).

ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები

ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების ამორტიზებული ღირებულება (გარდა მცირევადიანი ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებებისა) ყოველი საანგარიშგებო პერიოდისთვის წარმოადგენს შემდეგი სიდიდეების ნეტო ღირებულებას:

(ა) თანხა, რომლითაც ფინანსური აქტივი ან ფინანსური ვალდებულება შეფასებულია თავდაპირველი აღიარებისას;

(ბ) გამოკლებული ძირი თანხის დასაფარად გადახდილი თანხები;

(გ) მიმატებული ან გამოკლებული დაგროვილი ამორტიზაციის თანხა, რომელიც მიიღება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით თავდაპირველად აღიარებულ და დასაფარ თანხებს შორის განსხვავების მიმართ; და

(დ) გამოკლებული, ფინანსური აქტივის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალის ან უიმედო ვალის შემცირების თანხა (პირდაპირ, ან რეზერვების ანგარიშების გამოყენებით).

ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები, რომლებსაც არ გააჩნია ნომინალური საპროცენტო განაკვეთი, დაკავშირებული არ არის ისეთ შეთანხმებასთან, რომელიც ფინანსურ ოპერაციას წარმოადგენს და კლასიფიცირდება, როგორც მოკლევადიანი აქტივები ან მოკლევადიანი ვალდებულებები, თავდაპირველად შეფასდება არადისკონტირებული ღირებულებით. აქედან გამომდინარე, მათზე არ ვრცელდება ზემოაღნიშნული (გ) პუნქტის მოთხოვნა.

ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდი არის ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების (ან ფინანსური აქტივების, ან ფინანსური ვალდებულებების ჯგუფის) ამორტიზებული ღირებულების გამოთვლისა და საპროცენტო შემოსავლების ან ხარჯების შესაბამის პერიოდზე მიკუთვნების მეთოდი. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი არის განაკვეთი, რომლის მეშვეობით ფინანსური ინსტრუმენტის მოსალოდნელი ვადის ან, როდესაც შესაფერისია, უფრო მოკლე ვადის განმავლობაში მისაღები ან გადასახდელი სავარაუდო ფულადი სახსრები ზუსტად დისკონტირდება ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების წმინდა საბალანსო ღირებულებამდე. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი უნდა განისაზღვროს ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების საბალანსო ღირებულებაზე დაყრდნობით, რომელიც მას გააჩნია საწყისი აღიარებისას. ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის მიხედვით:

(ა) ფინანსური აქტივის (ვალდებულების) ამორტიზებული ღირებულება არის მომავალში მისაღები (გადასახდელი) ფულადი სახსრების დღევანდელი ღირებულება, რომელიც დისკონტირებულია ეფექტური საპროცენტო განაკვეთით; და

(ბ) პერიოდის საპროცენტო ხარჯი (შემოსავალი) ტოლია მოცემული პერიოდის ეფექტური საპროცენტო განაკვეთისა და ფინანსური ვალდებულების (აქტივის) საბალანსო ღირებულების ნამრავლის, რომელიც მას ჰქონდა პერიოდის დასაწყისში.

მოთხოვნები საქმიანობიდან და სხვა მიმდინარე მოთხოვნები

მოთხოვნები წარმოადგენენ ყველა მიმდინარე მოთხოვნებს მომსახურებიდან და მიწოდებიდან, წინასწარ გადახდილ გადასახადებსა და წინასწარ გაწეულ ხარჯებს.

სავაჭრო და სხვა დებიტორული მოთხოვნების აღიარება ხდება სამართლიანი ღირებულებით და შემდგომში შეფასებული ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო მეთოდით, გამოკლებული გაუფასურების დანაკარგი. დებიტორული დავალიანების გაუფასურების დანაკარგი ჩამოყალიბებულია, როდესაც არსებობს ობიექტური მტკიცებულებები, რომ ჯგუფი ვერ შეძლებს ყველა თანხის შეგროვებას მისაღები მოთხოვნების მიხედვით.

საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში რეზერვში ცვლილებების ოდენობა აისახება მოგება-ზარალის ანგარიშებზე. ნებისმიერი მოთხოვნის ჩამოწერის ასახვა ხდება არსებული საეჭვო მოთხოვნების რეზერვის ანგარიშზე. ყველა სავაჭრო მოთხოვნა, პირდაპირ ჩამოიწერება და აღიარდება პერიოდის მოგება-ზარალში.

აქტივების გაუფასურება

ფინანსური აქტივი შეფასდება ყოველ ანგარიშგების დღეს იმ მიზნით, რომ განისაზღვროს არსებობს თუ არა მისი გაუფასურების ობიექტური მტკიცებულება. ფინანსური აქტივი ჩაითვლება გაუფასურებულად იმ შემთხვევაში, თუ ობიექტური მტკიცებულებით ნაჩვენებია აქტივის თავდაპირველი აღიარების შემდგომ ზარალის შემთხვევა, რაც შესაძლებელია უარყოფითად აისახოს აღნიშნული აქტივის სამომავლო ფულადი ნაკადების შეფასებაში, რაც ფასდება საიმედოდ.

ხარჯების აღიარება

ჯგუფი გასწევს ხარჯებს საქმის წარმოებაზე თავის საოპერაციო საქმიანობის პროცესში, ასევე აქვს სხვა ხარჯები, რაც არ უკავშირდება მის ძირითად საქმიანობას.

ხარჯების აღიარება ხდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში, თუ წარმოიშობა შემცირება მომავალი ეკონომიკური სარგებლისა, რაც დაკავშირებულია აქტივის შემცირებასა ან ვალდებულების ზრდასთან, რაც შეიძლება საიმედოდ განისაზღვროს.

ხარჯების აღიარება ხდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში, გაწეული ხარჯებისა და შემოსავლების შორის უშუალო შეპირისპირების საფუძველზე, შემოსავლების კონკრეტული მუხლების მიხედვით. თუკი ეკონომიკური სარგებლის წარმოშობა მოსალოდნელია რამდენიმე საანგარიშო პერიოდის მანძილზე და კავშირი შემოსავალთან შეიძლება მოიძებნოს მთლიანად ან ნაწილობრივ, მაშინ მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში ხარჯის აღიარება მოხდება რაციონალური გადანაწილების მეთოდით. ხარჯის აღიარება ხდება მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში დაუყოვნებლივ, თუ ხარჯი აღარ ქმნის მომავალ ეკონომიკურ სარგებელს, ან როცა მომავალი ეკონომიკური სარგებელი არ შეესაბამება ან აღარ შეესაბამება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში (ბალანსში) აქტივად აღიარების მოთხოვნებს.

გარიგებები უცხოურ ვალუტაში

გარიგებები უცხოურ ვალუტაში კონვერტირდება ჯგუფის შესაბამის ფუნქციონალურ ვალუტაში ტრანზაქციების განხორციელების დღეს საქართველოს ეროვნული ბანკის (სებ) მიერ დადგენილი ოფიციალური სავალუტო გაცვლითი კურსის მიხედვით. ანგარიშგების თარიღისთვის, უცხოურ ვალუტაში წარმოდგენილი ფულადი აქტივები და ვალდებულებები გადაიცვლება ფუნქციონალურ ვალუტაში, ამავე თარიღისთვის არსებული გაცვლითი კურსის მიხედვით. უცხოურ ვალუტაში წარმოდგენილი არაფულადი აქტივები

შპს „მგ კომპანია“-ს

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება 2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

და ვალდებულებები, რომლებიც დაიანგარიშება სამართლიანი ღირებულებით, კონვერტირდება ფუნქციონალურ ვალუტაში სამართლიანი ღირებულების განსაზღვრის დღისთვის არსებული ვალუტის გაცვლის კურსის მიხედვით. არაფულადი ერთეულები უცხოურ ვალუტაში, რომელიც გამოთვლილია ისტორიული ღირებულების საფუძველზე, გადაყვანილია ტრანზაქციის თარიღისთვის მოქმედი გაცვლითი კურსით. ვალუტის გადაფასებით გამოწვეული სავალუტო საკურსო სხვაობები აისახება პერიოდის მოგებაში ან ზარალში.

დაქირავებულ პირთა გასამრჯელოები

თანამშრომელ პირთა გასამრჯელოები აღიარდება შესრულებული სამუშაოს საფუძველზე არადისკონტირებული ღირებულებით და შესაბამისად აისახება ხარჯებში. ასანაზღაურებელი თანხა აღიარდება მოკლევადიანი ვალდებულების სახით.

მარაგები

მარაგები აღირიცხება უწყვეტი მეთოდით. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, ისინი შეფასებულია თვითღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. წმინდა სარეალიზაციო ღირებულება არის ბიზნესის ჩვეულებრივ პირობებში საქმიანობისას არსებული აქტივის გასაყიდ ფასს გამოკლებული დანახარჯები, რომლებიც დაკავშირებულია აქტივის გაყიდვასთან. მარაგების ჩამოწერა ხდება სპეციფიკური იდენტიფიკაციის მეთოდის საშუალებით, თუ ეს შესაძლებელი და მიზანშეწონილია, ხოლო სხვა შემთხვევებში - საშუალო ფასთა მეთოდის გამოყენებით.

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

ფულად სახსრებს და მათ ეკვივალენტებს ჯგუფისთვის წარმოადგენს ფული სალაროში და ფული მიმდინარე საბანკო ანგარიშებზე.

გრძელვადიანი აქტივები

ა) ძირითადი საშუალებების, საინვესტიციო ქონების და არამატერიალური აქტივების აღრიცხვისათვის გამოიყენება თვითღირებულების მოდელი.

ბ) ძირითადი საშუალებებისა და საინვესტიციო ქონების ცვეთისათვის გამოიყენება წრფივი მეთოდი. ამასთან, ცვეთის დარიცხვა იწყება იმ თვიდან, როდესაც ძირითადი

შპს „მგ კომპანია“-ს

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება 2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

საშუალების/საინვესტიციო ქონების გამოყენება დაიწყო, ხოლო იმ თვეში, როდესაც მოხდა ძირითადი საშუალების/საინვესტიციო ქონების გასვლა, ცვეთის დარიცხვა არ ხდება.

გ) ძირითადი საშუალებებისა და საინვესტიციო ქონების ცვეთა ხდება საბალანსო და სალიკვიდაციო ნარჩენ ღირებულებებს შორის სხვაობიდან სასარგებლო სამსახურის ვადის გათვალისწინებით. თუ კონკრეტული ძირითადი საშუალებისთვის ან საინვესტიციო ქონებისთვის ნარჩენი სალიკვიდაციო ღირებულება განსაზღვრული არ არის, ის ჩაითვლება ნულის ტოლად, ხოლო თუ სასარგებლო სამსახურის ვადა არ არის დადგენილი, ცვეთის დარიცხვა ხდება შემდეგი წლიური საპროცენტო განაკვეთების მიხედვით:

შენობა-ნაგებობები - 25-40 წელი;

მანქანა-დანადგარები - 8-10 წელი;

ძალოვანი მანქანები - 8-10 წელი;

კომპიუტერული ტექნიკა - 4-8 წელი;

ავეჯი და ოფისის აღჭურვილობა - 8-10 წელი;

სპეციალური ინსტრუმენტები - 4-8 წელი;

სატრანსპორტო საშუალებები - 5-10 წელი;

იჯარით აღებული ფართის კაპიტალური რემონტი - 10 წელი;

სხვა ძირითადი საშუალებები - 2-5 წელი.

დ) არამატერიალური აქტივების ამორტიზაციისათვის გამოიყენება:

- იმ არამატერიალური აქტივებისათვის, რომელთაც აქვთ შეზღუდული სასარგებლო მომსახურების ვადა და ეს ვადა განსაზღვრულია, გამოიყენება ამორტიზაციის დარიცხვის წრფივი მეთოდი მათი სასარგებლო სამსახურის ვადის შესაბამისად;

- იმ არამატერიალური აქტივებისათვის, რომელთაც აქვთ შეზღუდული სასარგებლო მომსახურების ვადა, მაგრამ ეს ვადა ცალსახად განსაზღვრული არ არის, გამოიყენება ამორტიზაციის დარიცხვის წრფივი მეთოდი წლიური საპროცენტო განაკვეთით - 10%;

- არამატერიალური აქტივები განუსაზღვრელი სასარგებლო მომსახურების ვადით არ ამორტიზდება.

ე) შეკეთებასთან ან განახლებასთან დაკავშირებული ხარჯები ირიცხება წარმოშობისთანავე და მათი ჩართვა ხდება პერიოდის საოპერაციო ხარჯებში, თუ არ არსებობს მათი კაპიტალიზაციის საფუძველი.

გადასახადები

შპს „მგ კომპანია“-ს

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება 2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

2016 წელს საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი მოგების გადასახადის რეფორმის შესახებ (რომელიც ასევე ცნობილია მოგების გადასახადის „ესტონური მოდელის“ სახელით), რაც ნიშნავს დაბეგვრის მომენტის გადატანას მოგების გამომუშავების თარიღიდან მისი გაცემის თარიღამდე. კანონი ძალაშია საგადასახადო პერიოდებისთვის 2017 წლის 1 იანვრის შემდეგ ყველა იურიდიული პირისთვის, გარდა ფინანსური დაწესებულებებისა (როგორც არის ბანკები, სადაზღვევო კომპანიები, მიკროსაფინანსო ორგანიზაციები, საკრედიტო კავშირები და დადგენილი წესით რეგისტრირებული სესხის გამცემი სუბიექტები), რომლებისთვისაც კანონი მოგვიანებით შედის ძალაში (2023 წლის 1 იანვრიდან). კომპანიის დაბეგვრა მოგების გადასახადით ხდება „ესტონური მოდელის“ შესაბამისად.

ახალი საგადასახადო სისტემიდან გამომდინარე, საქართველოში რეგისტრირებულ კომპანიებს, როგორც წესი, არ წარმოეშვებათ დროებითი სხვაობები კომპანიის საგადასახადო ვალდებულებებსა და მათ საბალანსო ღირებულებებს შორის. შესაბამისად, 2017 წლიდან მათ არ აქვთ გადავადებული საგადასახადო აქტივები და გადავადებული მოგების გადასახადის ვალდებულებები (გარდა იშვიათი გამონაკლისი შემთხვევებისა).

2017-2020 წლებში საქართველოში მოგების გადასახადის განაკვეთი 15%-ს შეადგენდა.

წარდგენის ვალუტა და ერთეულის სიზუსტე

საქართველოს ეროვნულ ვალუტას წარმოადგენს ქართული ლარი, რომელიც არის ჯგუფის ფუნქციონალური ვალუტა და აგრეთვე ვალუტა, რომელშიც არის წარმოდგენილი ჯგუფის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება. კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია 1 (ერთი) ლარის სიზუსტით.

გაცვლითი სავალუტო კურსები

სავალუტო ფულადი მუხლებისათვის გამოყენებულია შემდეგი ოფიციალური გაცვლითი კურსები, დადგენილი საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ:

2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

1 USD=3.2766 ლარი;

1 EUR=4.0233 ლარი.

2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

1 USD=2.8677 ლარი;

1 EUR=3.2095 ლარი.

საშუალო სავალუტო გაცვლითი კურსი შეადგენდა:

2020 წელს: 1 USD=3.0937 ლარი; 1 EUR=3.5395 ლარი.

2019 წელს: 1 USD=2.8192 ლარი; 1 EUR=3.1553 ლარი.

4. ფინანსური ანგარიშგების მუხლების განმარტებითი შენიშვნები

4.1. ფული და ფულის ეკვივალენტები:

	ნაშთი 31.12.2020 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2019 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2018 მდგომარეობით
ნაღდი ფული სალაროში	18179	1438	2981
ლარი საბანკო ანგარიშებზე	30734	2257	6468
აშშ დოლარები საბანკო ანგარიშებზე	6555	0	2267
ევროები ადგილობრივ საბანკო ანგარიშებზე	817		
ტერმინალით გადახდისას მიღებული ფული	32	135	729
სულ:	56316	3830	12444

4.2. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები:

	ნაშთი 31.12.2020 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2019 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2018 მდგომარეობით
მომსახურებიდან მოთხოვნები ლარში	475180	405160	408008
მომსახურებიდან მოთხოვნები ევროში		7190	43126
სულ:	475180	412350	451134

ჯგუფის დებიტორული მოთხოვნები ძირითადად წარმოქმნილია უძრავი ქონების გაქირავებისაგან და სასტუმრო მომსახურების გაწევიდან ფიზიკური და იურიდიული პირების მიმართ. 2020 წლის ბოლოსათვის ჯგუფს არ აქვს გაუფასურებული დებიტორული მოთხოვნები.

4.3. სხვა პირებზე ავანსებად და სესხებად გაცემული ფულადი სახსრები:

ჯგუფს გაცემული აქვს სესხები რეზიდენტ პირებზე ეროვნულ ვალუტაში. აღნიშნულ სესხებზე ასევე ფიქსირდება შესაბამისი დარიცხული საპროცენტო მოთხოვნები. საპროცენტო მოთხოვნები წლების მიხედვით: 31.12.2020 – 712219 ლარი, 31.12.2019 – 522566 ლარი, 31.12.2018 - 436652 ლარი.

4.4. მარაგები:

	ნაშთი 31.12.2020 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2019 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2018 მდგომარეობით
საქონელი	13409	16910	15646
დაუმთავრებელი წარმოება	1230	0	43501
საწვავ-საცხები მასალები	1140	805	664
სხვა სასაქონლო-მატერიალური მარაგი	22800	20861	14571
სულ:	38579	38576	74382

სხვა მატერიალური ფასეულობები შედგება სასტუმროს დასუფთავების დეპარტამენტის მიერ გასახარჯი საქონლისაგან.

4.5. არამატერიალური აქტივები:

ჯგუფის არამატერიალური აქტივები შედგება საბუღალტრო პროგრამისაგან, სასტუმროს ფუნქციონირებისათვის საჭირო სპეციალური პროგრამებისაგან და შესაბამისი პროგრამული მოდულებისაგან.

4.6. ძირითადი საშუალებები:

	ნაშთი 31.12.2020 მდგომარეობით	2020 წელი ზრდა ან შემცირება	2020 წელი დარიცხული ცვეთა	ნაშთი 31.12.2019 მდგომარეობით	2019 წელი ზრდა ან შემცირება	2019 წელი დარიცხული ცვეთა	ნაშთი 31.12.2018 მდგომარეობით
მიწის ნაკვეთები	284277	0		284277	75635		208642
დაუმთავრებელი მშენებლობა	398309	-76		398386	396163		2222
შენობები	5156103	-24677	-236819	5417599	8404	-408727	5817922
ელექტრონული და მექანიკური მოწყობილობები, გათბობის სისტემა, დიზელ-გენერატორები	480845	45267	-70216	505793	93848	-76524	488470
კომპიუტ, ტექნიკა და პერიფერიული მოწყობილობები, ელექტრონული აპარატურა	11490	565	-24586	35512	1373	-26376	60515
ავტო	205973	-1385	-58468	265826	6228	-58154	317752
ინვენტარი	39083	-126	-18863	58073	23842	-8826	43057
მსუბუქი ავტომობილები	11103	6313	-1079	5869	0	-9190	15059
ლიზინგით (ფინანსური იჯარით) მიღებული ძირითადი საშუალებები	29804	0	-4471	34275	0	-4471	38745
იჯარით აღებული ქონების კუთვლილობა	47227	0	-11278	58505	0	-11278	69783
მცირეფასიანი ძირითადი საშუალებები	16082	13006	-18260	21336	4664	-12582	29254
მცენარეები (ეზოს გამწვანება)	8195	0	-282	8478	8478	0	
სულ:	6688491	38886	-444322	7093928	618635	-616127	7091420

ჯგუფის სააღრიცხვო პოლიტიკით, ძირითადი საშუალებების მიმართ გამოიყენება თვითღირებულების მოდელი.

ძირითადი საშუალებების ერთიანი დაგროვილი ცვეთის თანხა შეადგენდა:

შპს „მგ კომპანია“-ს

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება 2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

2020 წლის ბოლოს - 2327547 ლარს,

2019 წლის ბოლოს - 1908913 ლარს.

4.7. ინვესტიციები სხვა საწარმოებში:

	ნაშთი 31.12.2020 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2019 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2018 მდგომარეობით
ს/ს " იბერია კონსტრაქშენ ენდ სერვის კომპანი	51675	51675	51675
შ.პ.ს. "სამგორი რუს'	400	400	400
საერთაშორისო საქველმოქმედო ფონდი „ხოზი'	50	50	50
შ.პ.ს. "კოლხეთი მედია'	1100	1100	1100
შპს „ვეტფარმი'	2300	2300	2300
გ.ქ.ბ	390	390	390
შ.პ.ს. "მტს'	800	800	800
შ.პ.ს. „რაფსი'	700	700	700
შ.პ.ს. "რადოსტ - დმ'	350	350	350
შპს ჯენსეკ ჯგუფი	100	100	100
შპს „მცენარეული ზეთების კორპორაცია'	80	80	80
შპს „საფეხბურთო კლუბი ხოზი'	200	200	200
მწვანე ჩაის" აქციები	9975	9975	9975
შპს „კოლხეთი მედია'	46615.79	46615.79	46615.79
შ.პ.ს. " გარანტინტელ'	30768.04	30768.04	30768.04
შპს „მტს ხოზი'	48327	48327	48327
შპს „მზე-21'	109921	109921	109921
შპს „ხეთა'	339833.3	339833.3	339833.3
შპს „კოლხეთი და კომპანია'	23409.97	23409.97	23409.97
შპს „მეგა რესურსი'	49912	49912	49912
სულ:	716907.1	716907.1	716907.1

4.8. საგადასახადო ვალდებულებები:

ჯგუფის საგადასახადო ვალდებულება 31.12.2020-ისთვის ძირითადად შედგება ჯგუფის მიერ წარდგენილი 2020 წლის საგადასახადო დეკლარაციებით (დღგ, საშემოსავლო) დარიცხული თანხებისაგან. ასევე, დარიცხული სახელფასო დავალიანებების შესაბამისი საშემოსავლო გადასახადისაგან. ამავდროულად, შვილობილმა საწარმომ ისარგებლა ე.წ. „კორონა ვირუსის“ გამო სახელმწიფოს მიერ დაწესებული შეღავათით 2020 წლის რამდენიმე თვის საშემოსავლო გადასახადის გადახდის დროებით გადავადებით და აღნიშნული თანხაც ასახულია საგადასახადო ვალდებულებებში.

4.9. მოკლევადიანი ნასესხები სახსრები:

ჯგუფის მოკლევადიანი სესხები შედგება შვილობილი საწარმოს ბალანსზე არსებული სს „ბანკის ქართუს“ ოვერდრაფტისგან და მცირე მოკლევადიანი სესხისგან ეროვნულ ვალუტაში.

4.10. გრძელვადიანი ნასესხები სახსრები:

ჯგუფის გრძელვადიანი სესხებიდან ჯგუფის შვილობილი საწარმოს გრძელვადიანი სესხების წილი შემდეგია:

	ნაშთი 31.12.2020 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2019 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2018 მდგომარეობით
სესხები ლარებში	155252	127335	20841
სესხები აშშ დოლარებში	5470980	4298889	348886
სულ:	5626232	4426224	369727

ისინი, როგორც ლარში ასევე აშშ დოლარში, ფაქტობრივად სრულად შედგება სს „ბანკი ქართუ“-საგან აღებული სესხებისაგან.

რაც შეეხება თვითონ შპს „მგ კომპანიის“ სესხებს, მათი უდიდესი ნაწილი შედგება არარეზიდენტი პირების GOSIA FINANCING-ისაგან და INTELLEGENS HOLDING-ისაგან მიღებული სესხების ძირი თანხებისა და მათზე დარიცხული საპროცენტო ვალდებულებებისაგან.

4.11. გადაფასების რეზერვი / საკუთარი კაპიტალი:

კომპანიამ შვილობილი საწარმოს დაფუძნებისას მისი კაპიტალი განსაზღვრა 200 ლარის ოდენობით, 2015 წელს კომპანიამ მოახდინა შვილობილი საწარმოს კაპიტალის გაზრდა და 2015 წელსვე მოახდინა შვილობილი საწარმოს გაზრდილი კაპიტალის შევსება ქონებით. ქონების ღირებულება, კაპიტალში შეტანისას, შეფასებული იქნა მოწვეული ექსპერტ-შემფასებლის მიერ. აღნიშნული ქონების შეფასების შედეგად წარმოიქმნა შესაბამისი გადაფასების რეზერვი.

4.12. ნეტო ამონაგები:

2020 წელს ჯგუფის ამონაგები ძირითადად მთლიანად შედგებოდა შვილობილი საწარმოს - სასტუმრო მომსახურებით მიღებული შემოსავლებისაგან და „დედა“ კომპანიის ქონების იჯარის გაცემით მიღებული შემოსავლებისაგან.

4.13. სხვა საოპერაციო შემოსავალი:

2020 წელს ჯგუფის სხვა საოპერაციო შემოსავალი შედგება შვილობილი საწარმოს მიერ მიღებული საშემოსავლო გადასახადში სახელმწიფოს მიერ დაწესებული შეღავათისაგან 1500 ლარამდე ოდენობით ხელფასებთან მიმართებაში - 33441 ლარი, სადაზღვევო შემთხვევის ანაზღაურებისაგან და სხვა მცირე ოდენობის შემოსავლებისაგან.

4.14. ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯები (გარდა სხვა მუხლებში განცალკევებულად ასახული შრომის ანაზღაურების, იჯარის, პროცენტების, ცვეთისა და ამორტიზაციის ხარჯებისა):

ჯგუფის ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯების უდიდესი ნაწილი შედგება კომპანიის („დედა“) სესხებზე დარიცხული უარყოფითი საკურსო სხვაობებისაგან. ხოლო ჯგუფის შვილობილი საწარმოს ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯების წილი კი შემდეგია:

შპს „მგ კომპანია“-ს

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება 2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

	2020 წელი	2019 წელი
ძირითადი მასალების დანახარჯები / შეძენა (საკვები პროდუქტები და სასმელები)	225098.36	347529.95
სასტუმროს დასუფთავების მასალების დანახარჯები / სამეურნეო და ტექნიკური საქონლის ხარჯები	88053.84	74583.21
	14.12	1714.13
დაქირავებულ თანამშრომელთა ავტომობილით მომსახურება (დამით სახლამდე) და კვება - წარმოქმნილი გადასახადები	17241.66	52683.13
საწარმოო პერსონალის დაზღვევის ხარჯები	6105.12	16564.82
საწარმოო ქონების დაზღვევა	5810.69	1340.00
მიღებული ყოველთვიური მომსახურებების ხარჯები	6630.40	7141.00
IT-ტექნიკური მომსახურება	5330.00	8880.00
HRS-ის ტექნიკური მხარდაჭერის მომსახურება (Fidelio, Materials Control, Micros)	16546.35	18314.00
ბუნებრივი აირის ხარჯი	24682.30	31297.00
ელექტრო ენერგიის ხარჯი	80541.42	100063.00
წყლისა და კანალიზაციის ხარჯი	19487.40	26937.00
ტელეფონისა და ინტერნეტის ხარჯები	16356.99	17297.00
საწვავის ხარჯები (საწარმოო დანიშნულების)	514.11	3325.00
საიჯარო ქირა (საწარმოო)	3813.57	10398.00
საწარმოო დანიშნულების ძირითადი საშუალებების რემონტის ხარჯები	37651.49	50826.00
საწარმოო დანიშნულების ძირითადი საშუალებების საექსპლუატაციო ხარჯები	4153.61	5595.00
სხვა საერთო-საწარმოო ხარჯები	2299.95	23166.00
ხარჯები სასტუმრო მომსახურების მიწოდებისას	449.16	9314.00
რეკლამის ხარჯები	288.98	19951.00
ყოველთვიური მარკეტინგული მომსახურების ხარჯი	31875.00	30431.00
booking.com	704.57	17003.00
facebook	3168.72	3369.00
ვებ-გვერდის ტექნიკური მომსახურება	200.00	600.00
პერსონალის დაზღვევის ხარჯები	1536.48	2820.00
საწვავის ხარჯები (საერთო-ადმინისტრაციული)	8794.48	9142.00
tph.ge ჰოსტინგ, დომენ: tsaltuboplaza.ge და tph.ge	560.35	551.00
ფინანსური და ბუღალტრული მომსახურებები	30406.78	38441.00
საგადასახადო ხარჯები	-61930.00	62131.00
საბანკო ხარჯები	1432.99	6052.00
საბანკო ხარჯები კონვერტაციაზე	136.00	5837.00
საბანკო ხარჯები ტერმინალით გადახდისას	1748.80	8615.00
მომხმარებლისათვის დაბრუნებული ქეშბეკი	20.00	10.00
ძირითადი საშუალებების რემონტის ხარჯები	11330.77	
საერთო დანიშნულების ძირითადი საშუალებების საექსპლუატაციო ხარჯები	1820.77	2275.00
სხვა საერთო-ადმინ. ხარჯები	16090.13	9345.00
სულ:	608965	1023541

4.15. სხვა არასაოპერაციო შემოსავალი / (ხარჯი):

2020 წელს ჯგუფმა შემოსავალში აღიარა 2017 წელში შვილობილი საწარმოს მიერ მისი ერთერთი დამკვეთისაგან მიღებული ავანსისგან წარმოქნილი ვალდებულება. აღნიშნული ავანსი თავის დროზე შვილობილ საწარმოს დაბეგრილი აქვს დამატებული ღირებულების გადასახადით საგადასახადო კოდექსის შესაბამისად.

4.16. სასამართლო დავები:

ჯგუფს 2020 წლის განმავლობაში მნიშვნელოვანი სახის სასამართლო დავები არ ჰქონდა.

4.17. საანგარიშგებო პერიოდის შემდეგი მოვლენები

2021 წლის 28 ოქტომბერს შპს „მგ კომპანია“ გაყიდა შპს „წყალტუბო პლაზას“ 100% წილი.

2021 წლის 1 იანვრიდან 30 სექტემბრამდე პერიოდში, ჯგუფის ეკონომიკურ საქმიანობაში, გარდა წინა აბზაცში აღნიშნულისა, სხვა საყურადღებო მოვლენები არ მომხდარა.


4.18. კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება ხელმოწერილი და გამოსაცემად ნებადართულია 2021 წლის 9 დეკემბერს ჯგუფის მენეჯმენტის მიერ. ჯგუფის ხელმძღვანელობას უფლება აქვს შეცვალოს ფინანსური ანგარიშგება გამოშვების შემდეგ.

ფინანსური მდგომარეობა

ფინანსური მდგომარეობა	31/12/2020	31/12/2019	31/12/2018	შენიშვნა
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	56316	3830	12444	4.1
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	475180	412350	451134	4.2
სხვა პირებზე ავანსებად და სესხებად გაცემული ფულადი სახსრები	1825158	1437618	823371	4.3
მარაგები	38579	38576	74382	4.4
მზა პროდუქცია	0	0	0	
სხვა	38579	38576	74382	
საინვესტიციო ქონება	0	0	0	
სხვა მოკლევადიანი აქტივები	4455	5871	285309	
ბიოლოგიური აქტივები	0	0	3666	
თვითღირებულების მოდელით	0	0	3666	
გადაფასების მოდელით	0	0	0	
გუდვილი	0	0	0	
სხვა არამატერიალური აქტივები	64339	69388	29053	4.5
ძირითადი საშუალებები	6688491	7093927	7091420	4.6
ინვესტიციები სხვა საწარმოთა წილობრივ ინსტრუმენტებში	716908	716908	716908	4.7
სხვა გრძელვადიანი აქტივები	0	0	0	
სულ აქტივები	9869426	9778468	9487687	
ვალდებულებები				
საიჯარო ვალდებულება	0	0	26108	
სავაჭრო ვალდებულებები	18595	61140	73770	
ანარიცხები	0	0	0	
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ	122201	108838	79996	4.8
საგადასახადო ვალდებულებები	96676	50082	41937	4.8
გამოუმუშავებელი შემოსავალი	4600	0	0	
მოკლევადიანი ნასესხები სახსრები	122874	164925	3645641	4.9
გრძელვადიანი ნასესხები სახსრები	41819526	36018482	28819660	4.10
მიღებული გრანტები	0	0	0	
სხვა ვალდებულებები	0	110511	119575	
სულ ვალდებულებები	42184472	36513978	32806687	
საკუთარი კაპიტალი				
სააქციო კაპიტალი (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალი', კოოპერატივის შემთხვევაში 'საპაიო კაპიტალი')	33126	33126	33126	
საფასილო შემოსავალი	0	0	0	
გამოსყიდული საკუთარი აქციები	0	0	0	
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)	-33706827	-28127291	-24635316	
გადაფასების რეზერვი	1358655	1358655	1283190	4.11
საკუთარი კაპიტალის სხვა კომპონენტები	0	0	0	
სულ მშობელი საწარმოს მფლობელთათვის განკუთვნილი საკუთარი კაპიტალი	-32315046	-26735510	-23319000	
არამაკონტროლებელი წილი (კონტროლის არმქონე ინვესტირთა ჯამური წილი)	0	0	0	
სულ საკუთარი კაპიტალი	-32315046	-26735510	-23319000	
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	9869426	9778468	9487687	
სულ მოკლევადიანი აქტივები	574530	460627	823269	
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები	360346	384985	3867452	

ფინანსური ანგარიშები დამტკიცებულია გამოსაქვეყნებლად 09.12.2021 წ.



ზურაბ ერქვანია

თანხლები განმარტებითი შენიშვნები არის წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილი.

საქმიანობის შედეგები

საქმიანობის შედეგები	31/12/2020	31/12/2019	შენიშვნა
წესით ამონაგები	1445474	2787655	4.12
სოფლის გაყიდვიდან	0	0	
მომსახურების გაწევიდან	1289113	2191700	
სამშენებლო ხელშეკრულებიდან	0	0	
სხვა	156361	595955	
გაყიდვების ფინანსური შედეგები	0	0	
საწესი მარაგები	0	0	
მარაგების შესყიდვა	0	0	
გადაშვებების დასაბრუნებელი	0	0	
სამოლო მარაგები	0	0	
საერთო მოგება	1445474	2787655	
სხვა საოპერაციო შემოსავალი	55370	191125	4.13
დასაქმებულთა ანაზღაურება	-519413	-747377	
ცვლილება / ამორტიზაციის ხარჯი	-449386	-436560	
საპროცენტო შემოსავალი	168649	99090	
საპროცენტო ხარჯი	-3019372	-2090175	
ოჯარის ხარჯი	0	-10399	
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	-2705454	-2902865	4.14
სულ საოპერაციო ხარჯები	-6469606	-5897161	
საოპერაციო მოგება	-5024132	-3109506	
გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა:			
ფინანსური აქტივების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა	0	0	
მარაგების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა	0	0	
სხვა არაფინანსური აქტივების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა	0	0	
წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) უცხოური ვალუტით გაკრებიდან და სავალუტო			
სახსრების გადაფასებიდან	-638192	-307004	
მიღებული დივიდენდები	0	0	
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი / (ხარჯი)	82788	0	4.15
მოგება / (ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე განგრძობითი ოპერაციებიდან	-5579536	-3416510	
მოგების გადასახადის ხარჯი	0	0	
საანგარიშგებო პერიოდის მოგება / (ზარალი)	-5579536	-3416510	
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი):			
ძირითადი საშუალებების (მათ შორის, ბიოლოგიური აქტივების) გადაფასების რეზერვი	0	0	
სხვა (მათ შორის წილი ერთობლივი და შეკვეთიერ საწარმოების უზრავი ქონების			
გადაფასების რეზერვი და დადგენილ გადასახადილიანი პროგრამები)	0	0	
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი), სულ:	0	0	
მილიანი სრული შემოსავალი / (ზარალი)	-5579536	-3416510	
მოგება / (ზარალი) განკუთვნილი:			
შრომელი საწარმოს შესაკუთრებზე მისაკუთრებული მოგება (ზარალი)	-5579536	-3416510	
არამაკონტროლებელ წილებზე მისაკუთრებული მოგება (ზარალი)	0	0	
მოგება / (ზარალი)	-5579536	-3416510	
მილიანი სრული შემოსავალი / (ზარალი) განკუთვნილი:			
შრომელი საწარმოს შესაკუთრებზე მისაკუთრებული მილიანი შემოსავალი	-5579536	-3416510	
არამაკონტროლებელ წილებზე მისაკუთრებული მილიანი შემოსავალი	0	0	
მილიანი სრული შემოსავალი / (ზარალი)	-5579536	-3416510	
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში	-26735510	-23319000	
ახალი პეციების გამოშვება (მას-ს შემთხვევაში 'კაპიტალის გაზრდა', კომპერატორის			
შესთხვევაში 'საპაიო კაპიტალის გაზრდა')	0	0	
განაწილება შესაკუთრებზე (მათ შორის დივიდენდი)	0	0	
სხვა ცვლილებები გაუწაწილებელ მოგებაში	0	0	
კაპიტალის სხვა ცვლილებები	0	0	
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	-32315046	-26735510	

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია გამოსაქვეყნებლად 09.12.2021 წ.

დირექტორი

ზურაბ ერქვანია

ფულადი სახსრების მოძრაობა

ფულადი სახსრების მოძრაობა	31/12/2020	31/12/2019
საოპერაციო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საოპერაციო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები	205005	202785
საინვესტიციო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები	-94466	-267149
საფინანსო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საფინანსო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები	-58341	54525
ფულადი სახსრების შემოსილა (გასვლა)	52198	-9839
ვალუტის კურსის ცვლილების გავლენა ფულად სახსრებსა და მათი ეკვივალენტებზე	288	1225
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში	3830	12444
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	56316	3830

ფინანსური ანგარიშგება დასრულებულია გამოსაქვეყნებლად 09.12.2021 წ.

დირექტორი



ზურაბ ერეკლავია

თანხლები გახმაურდება მუნიციპალიტეტის წარმომადგენელი ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილი.